ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 96 (6473) 13 აგვისტო სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

**დღეს ნომერშია:**

* სიძნელეები?—შიში რა მოსატანია
* ფიქრები წრფელი
* ბრძენთა ენა ვერ შემძლებელ არს
* შემოსული სიგნალის კვალდაკვალ..

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების უდანაკარგოდ აღების, დაბინავებისა და დაცვის შესახებ

გასული წლის შემოდგომასა და მიმდინარე წლის გაზაფხულზე სათანადო მოცულობით და ხარისხით მთელი რიგი აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩაუტარებლობასთან დაკავშირებით არ განხორციელდა იჯარის შესახებ მოქმედი დებულების მოთხოვნები, კერძოდ, მწარმოებლებთან ხელშეკრულებათა გაფორმების შესახებ და სხვა; ამას დაერთო ცენტრის მიერ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში მიზანმიმართული შეფერხებები და ინსპირირებული ვითარების დესტაბილიზაცია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. შედეგად რესპუბლიკაში შეიქმნა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე სახელმწიფო დაკვეთის შეუსრულებლობის რეალური საშიშროება, რაც თავის მხრივ ქმნის უკიდურესად მძიმე სიტუაციას მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებითა და გადამამუშავებელი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფაში. ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის სურსათით მომარაგების მკვეთრი გაუარესება.

ზემოაღნიშნულის თავიდან აცილების, მოწეული მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების, დაბინავებისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ

ჩამოაყალიბოს 1991 წლის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების, დაბინავებისა და დაცვის ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური შტაბი, რომლის ძირითად ამოცანად განსაზღვროს რესპუბლიკის მასშტაბით მოსავლის აღების მიმდინარეობისადმი ხელმძღვანელობა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამინისტროს, უწყებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოს შესაძლებლობათა გამოყენება დასახული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად;

უმოკლეს ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისა და რეალიზაციის ფასების შესახებ;

შეიმუშაოს და დაამტკიცოს სახელმწიფო რესურსებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მაქსიმალური მოქცევის მიზნით მწარმოებელთა შესაბამისი მატერიალური წახალისების, მათ შორის, საბაზრო ფონდის ხარჯზე, ლონისძიებათა სისტემა;

მოსავლის აღება-დაბინავების სამუშაოები უპირატესად უზრუნველყოს ტექნიკით, საწვავ-საცხები მასალებითა და სხვა მატერიალური რესურსებით.

2. რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების პრეფექტებმა მოსავლის უდანაკარგოდ აღების, დაბინავებისა და დაცვის მიზნით ჩამოაყალიბონ ანალოგიური ადგილობრივი შტაბები.

3. ადგილობრივმა შტაბებმა უზრუნველყონ

რესპუბლიკური შტაბის გადაწყვეტილებათა, აგრეთვე „1991 წლის სახელმწიფო შეკვეთის დამატებით მარცვლის დამზადების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 31 ივლისის №609 და „1991 წლის მოსავლის, კარტოფილის, ხილბოსტნეულის უდანაკარგოდ აღების, დამზადებისა და ზამთრის მარაგში შენახვის ორგანიზაციის შესახებ“; 1991 წლის 29 ივლისის №603 დადგენილებათა მოთხოვნილების რეალიზაცია;

სამუშაოთა მიმდინარეობის მთელ პერიოდში საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შემუშავება და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კოლექტივებისა და მოსახლეობისათვის მათი გაცნობა.

4. პრეფექტურების, საკრებულოების, ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების უმთავრეს ამოცანად ჩაითვალოს შტაბების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა.

5. ადგილობრივი შტაბების წევრებმა, სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაიყვანონ თითოეულ მოსახლემდე, რომ ამჟამად სოფლის მეურნეობის მოსავლისათვის ბრძოლა ემსახურება სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უზენაეს მიზანს, რომ მოწეული მოსავლის თითოეული მარცვალი, თითოეული კილოგრამი ეროვნული საკუთრებაა და მისი ხელყოფა ეროვნული სიმდიდრის ხელყოფის ტოლფასია.

6. რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა არ დაუშვან მოსავლის განიავება, რეაგირების გარეშე არ დატოვონ ეროვნული საკუთრების ხელყოფის არც ერთი ფაქტი.

7. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ოპერატიულად მიაწოდონ მასალები მოსახლეობას მოსავლის აღების მიმდინარეობის, რესპუბლიკური და ადგილობრივი შტაბების, სამართალდამცავი ორგანოების, საზოგადოებრივ მეურნეობათა კოლექტივების მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ; მოსავლის განიავებისა შესახებ; მოსავლის განიავებისა და დატაცების თითოეული შემთხვევა გახადონ მოსახლეობის მკაცრი მსჯელობის საგანი: ხელი შეუწყონ ეროვნული საკუთრების ხელყოფისადმი შეურიგებელი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას.

8. მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებაზე, დაბინავებასა და დაცვაზე პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებს, საკრებულოთა გამგებლებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს.

9. კონტროლი ამ ბრძანებულების შესრულებაზე დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს თენგიზ სიგუას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 5 აგვისტო.

მეაბრეშუმეთა სეზონი გრძელდება

# ისევ მოფუსფუსე ჭიებთან

20088 კილოგრამი ქართული აბრეშუმის პარკი დაუმზადეს სამშობლოს რაიონის მეაბრეშუმეებმა და პირნათლად მოიხადეს ვალი ქვეყნის წინაშე. მაგრამ ჩვენი სამშობლოს ინტერესები, დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს მეორე გამოკვების აბრეშუმის ჭიის მოვლას.

პირველი სეზონი კარგად დაამთავრეს წიფერჩელმა მეაბრეშუმეებმა. 104 მეაბრეშუმე იყო ჩაბმული წლის პირველი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში და 1690 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს მიმღებ პუნქტს, რაც გეგმას აღემატება. აქაური მეაბრეშუმეები ახლა მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის მიღებისათვის იბრძვიან. სულ 56 გრამი აბრეშუმის მური გაინაწილეს. მეაბრეშუმეებმა კარგად იციან, რომ ბევრი სიძნელე და დაბრკოლება ახლავს მეორე გამოკვების აბრეშუმის ჭიის მოვლას, ჯერ ერთი შრომატევადია, მეორე ის, რომ პირველ გამოკვებაზე გადაჭრილ თუთის ხეზე სათუთად უნდა გამოიკრიფოს ფოთოლი, რომ სამომავლოდ არ გაუვარგისდეს.

მეაბრეშუმეები ამ სიძნელეებს არ შეუშინდნენ და 5-5 გრამი აბრეშუმის მური გაიყვანეს მოსავლელად. 40 კილოგრამი აბრეშუმის მური მოიწია პირველ გამოკვებაზე ნათელა კოლაპიანმა, მაგრამ 5 გრამი მეორე გამოკვების აბრეშუმის ჭია კიდევ გაიყვანა მოსავლელად. მეორე გამოკვების აბრეშუმის ჭია გაიყვანეს მოსავლელად ასევე მერი ნემსწვერიძემ, ნათელა, მერი ლარცულიანებმა, მარსელი ხეცურიანმა, ნაილი ნემსწვერიძემ, თინა ჩარკვიანმა, ბაბუცა ქვილითაიამ, მაყვალა ხაბულიანმა, მაყვალა და მათიკო ჩაკვეტაძეებმა.

ბარაქა თქვენს შრომას, გამრჯე მეაბრეშუმეებო.

# რგოლში სპეციალისტები გაერთიანდნენ

როგორც იქნა ჩაცხრა მეაბრეშუმეთა ცხელი დღეები და ახალი საზრუნავი გაჩნდა, მეორე გამოკვების აბრეშუმის ჭია გახდა მოსავლელი. სულ 740 გრამი მური იქნა შემოტანილი საინკუბაციო კამერაში გასაცოცხლებლად საიდანაც 1400 კილოგრამი აბრეშუმის პარკი უნდა იქნეს მოწეული.

ვერ ვიტყვით, რომ თავიანთ სამოქმედო უბნებში ჭიის გავრცელება გაუჭირდათ, მაგრამ ამ სიძნელის პირველ რიგში თავის თავზე ამოცდა იკისრეს რაიაგროს სპეციალისტებმა— დემურ გოგიძემ, დათო სალინაძემ, თინა ლეთოდიანმა, ამირან ხაბულიანმა, მათ ლეილა ფუტკარაძე და აზა სვანიძეც თანამოსაქმეებად გაიხადეს და შექმნეს მეაბრეშუმეთა რგოლი, სულ 140 გრამი აბრეშუმის ჭია გაიყვანეს მოსავლელად. უკვე მეორე კვირაა, რაც შრომას შეუდგნენ. ჭიებმა ერთი კანი უკვე გამოიცვალეს, მალე მეორე კანში ჩაწვებიან, სულ ხომ 5 ასაკი და 4 კანის ცვლა ახასიათებთ. სპეციალისტთა ხელში თავს კარგად გრძნობენ. მეორე გამოკვებისას გრამ მურზე 1,4 კილოგრამ აბრეშუმის პარკის მიღებას ვარაუდობენ: სულ 250 კილოგრამი ხარისხიანი აბრეშუმის პარკის ჩაბარება აქვთ გადაწყვეტილი.

საკვების ნაკლებობა არ აფიქრებთ, ცოდნაც და გამოცდილებაც მათ ხელშია და ეჭვი არ არის, რომ დიდი შრომის ფასად გამარჯვებას მოიპოვებენ.

# საქართველოს განათლების სამინისტროში

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს მეცადინეობა რესპუბლიკის ყველა ტიპის სასწავლებლებში, ნაცვლად ადრე გამოცხადებული 2 სექტემბრისა, დაიწყება 16 სექტემბერს, ორშაბათს.

საქინფორმი.

# სიძნელეები? —შიში რა მოსატანია

**ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚᲝ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲜᲐᲙᲣᲠᲐᲚᲔᲨᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲔᲚᲡ**

ᲩᲕᲔᲜᲘ სტუმარია ნაკურალეშის საკრებულოს გამგებელი მერაბ ჩიქოვანი, ახალგაზრდა კაცია, ჭკვიანი თვალებით, დაფიქრებული მოსაუბრე.

**ბიოგრაფიიდან:** მერაბი ნაკურალეშელია, ცხუკუშერის საშუალო სკოლა 1980 წელს დაამთავრა, მერე — თბილისის სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, მუშაობდა ოდედაქალაქის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში, ეროვნულ მოძრაობაში კარგა ხანია ჩაბმულია. ძმები და ახლობლები თბილისში მკვიდრობენ, (შინ მხოლოდ დედა ჰყავს). არც მას აწყენდა კომფორტი და ქალაქის ბრწყინვალება, შანსიც ჰქონდა იქ დარჩენისა, მაგრამ სოფლის ნებას—გაუძლევს მშობელ ხალხს, ნაკურალეშს, ვერ გადაუვიდა.

რამდენიმე სახელდახელო კითხვით მივმართეთ მერაბს.

**რამდენადაც პატივი და ნდობა გერგოთ მშობლიური სოფლისაგან, იმდენად დიდი პასუხისმგებლობა გაკისრიათ, ისიც ნაკურალეშის სინამდვილეში. რას ფიქრობთ, რით დაიწყებთ, რას მოკიდებთ ხელს?**

არჩევის დღიდანვე ვფიქრობ, კი მართალია, გამიჭირდება, მაგრამ რაღაცა კვალი ხომ უნდა დავამჩნიო სოფელს. ახლა ნაკურალეშში ფაქტიურად დაცლილია. ცხუკუშერ-ნაკურალეშში 4 ახალგაზრდაა, სოფელში საშუალო ასაკი 60 წელს ზევითაა. აბა, ვინ უნდა შემოვიკრიბო ირგვლივ.

მოვიფიქრეთ ასეთი რამ — გავხსნა ნაკურალეშის საკრებულოს ანგარიში. ძალიან ბევრი სირბილი დამჭირდა, რომ ეს საკითხი დადებითად გადამეწყვიტა. დღეს უკვე ანგარიში გვაქვს ბანკში. ვფიქრობ, ნაკურალეშს იმდენი კი გაუკეთებია მისი უბიდან წასულთათვის, რომ მადლიერი შვილები არ დაიშურებენ არც მატერიალურ შესაძლებლობას და არც ძალასა და ენერგიას.

მერე ფული თუ გაგვიჩნდა პირველ რიგში გზას უნდა მივხედოთ. ეს განსაკუთრებით ეხება ღვირიში-ნაკურალეშის 5-კილომეტრიან მონაკვეთს.

**თქვენს რეგიონში არც ისე დიდი ხნის წინათ აშენდა მეცხოველეობის მცირე კომპლექსი. იგი ახლა ფაქტიურად უმოქმედოდაა, თუ გიფიქრიათ გამოიყენოთ ეს შესანიშნავი ბაზა და დაასაქმოთ ხალხი.**

ვფიქრობთ და აი, რას კონკრეტულად: რესპუბლიკაში არის მეცხოველეობის ჯიშთსანაშენე სპეციალური ასოციაცია. ჩვენ უნდა შევისყიდოთ მისგან და შემოვიყვანოთ საქონელი. ნაკურალეში—ქარაფის სათიბები გვაბედვინებს გადავდგათ ეს ნაბიჯი, დავასაქმოთ ხალხი.

სხვა საარსებო და კომერციული ჩანაფიქრებიც გვაქვს. ხე-ტყით მდიდარ ჩვენს რეგიონში დავამზადოთ პროდუქცია ნახევარფაბრიკატის სახით, რაც გარკვეულ შემოსავალს მოგვცემს. ჩვენთან არის თეთრი ქვის მდიდარი კარიერი. ეს ქვა სამშენებლოცაა და და მოსაპირკეთებელი, გამოირჩევა სირბილით, ელასტიურობით, კარგად მუშავდება ხელით, ამიტომ უნდა მოხდეს მისი შესწავლა და პერსპექტივაში გამოყენება, მით უფრო — დღეს, როცა უდიდესი მოთხოვნილებაა სამშენებლო ქვაზე.

**ცხუკუშერის სკოლა წლებია დაიხურა, ეს ტიპიური ახალი შენობა გულსაკლავად უსარგებლოდ დგას, როგორც ვიცით, იქ საცხენოსნო ტურბაზა შევა. რას მისცემს იგი სოფელს?**

მე, მიუხედავად იმისა, კაპიკის შემოსავალიც სოფლისათვის მადლია, არა ვარ მომხრე აქ ტურბაზის გახსნისა, რადგან არ არის გარანტიები მისი ნორმალური ფუნქციონირებისა და ისეთივე არაერთ უსიამოვნებას მოგვიტანს, როგორც საირმელებს.

**ნაკურალეშის ეკლესიაზე რას იტყვით?**

ნაკურალეშის ეკლესიის დაცვა-აღდგენა, ვფიქრობ, ყველა ლეჩხუმელის საფიქრალი უნდა იყოს. მხატვრობით ასეთი ღირებულების სხვა ეკლესია ლეჩხუმს არცა გვაქვს. ეკლესიის წინა კედელი გახსნილია, მიწისძვრამ კიდევ უფრო გააფართოვა, ფრესკები ჩამოყრილია, გადაუდებელი ყურადღება სჭირდება ეკლესიას.

**რა ფსიქოლოგიური სიტუაციაა თქვენთან, რას ფიქრობს ხალხი?**

როცა ცხოვრების ელემენტარული პირობები არ არის რა განწყობილებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. გამომცხვარი პური არა გვაქვს, არც ფქვილი ყოფნის მოსახლეობას. აბა, მითხარით, ნაკურალეშელი კაცი სადუნდა წავიდეს პურის საყიდლად.

ფურნის გარეშე არ ვივარგებთ. ამას წვალება უნდა. წელს ნაკურალეშის დაწყებით სკოლაში მოსწავლე არ გვეყოლება. და კიდევ არ მინდა ყველაფერი ჩამოვთვალო.

**გეშინიათ სიძნელეების?**

არა, არ მეშინია, გულწრფელად გეუბნებით და შევეცდები ჩემმა ხალხმა არ თქვას—შევმცდარვართ არჩევანშიო.



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ. თეიმურაზ ჯანელიძე (სურათზე) მუსიკათმცოდნე, რუსთავის მუსიკალური სასწავლებლის ყოფილი პედაგოგი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქალაქის პრეფექტად დაინიშნა.

წააწყდა რა უამრავ პრობლემას სხვადასხვა საქალაქო სამსახურისაგან, თეიმურაზ ჯანელიძემ შეიმუშავა პერსპექტიული გეგმა. მასში გათვალისწინებულია გზების, პარკების და სკვერების კეთილმოწყობა, სკოლების და ჯანდაცვის ობიექტების რემონტი. დასახულია აგრეთვე კულტურის და სავაჭრო ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება.

Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

## ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ

ᲙᲔᲜᲐᲨᲘ, გვეუბნებიან ალვის საკრებულოში, გამორჩეული სოფელია გამრჯე, ალალი პატიოსანი ხალხით. ამ საუბარში ერთმა თქვა: აი, პიმენიც რა დაბარებულივით მოდის. ამისთანა კაცი 5 მაინც რომ იყოს თითო სოფელში, რაღა გვიჭირსო.

მოგვიახლოვდა პიმენ ირემაძე, მოგვესალმა, ჩეროში ჩამოვჯექით. ერთი შეხედვისთანავე გულით მივენდეთ, ჭკვიან, დაკვირვებულ, შინაურულ საუბარში თანდათან ამაღლდა ჩვენს თვალში.

72 წლისაა, რამდენი რამ გადაუტანია მის მხრებს, მაგრამ კარგად გამოიყურება, ამ ასაკს ვერ მისცემ.

... 20 წლისა ომში გაუწვევიათ ომმა გაჭირვებასთან ერთად კაცობაც ასწავლა. ბრძოლით გაუვლია უკრაინა, მოლდავეთი, მერე რუმინეთში ტყვედ ჩავარდნილა. საბჭოთა ჯარებმა რომ აიღეს რუმინეთი, მაშინ განთავისუფლებულა.

სოფლის წარსულზე, ისტორიაზე, კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პირველ წლებზე ჩამოვარდა სიტყვა. ვგრძნობთ, ბევრს გვეტყვის საგულისხმოს, საინტერესოს და ჩვენც ახალ კითხვებს ვაძლევთ.

კენაშში ცალკე კოლმეურნეობა ჩამოყალიბებულა, მამამისი ვლადიმერიც ყოფილა თავმჯდომარედ პირველ წლებში, შემდგომ თვითონაც რამდენიმე ხანს.

კოლმეურნეობების დამსხვილებამ, მერე უდისციპლინობამ და განუკითხაობამ დაღუპა სოფელი და მე ამის ხმამაღლა თქმისა არ მეშინიაო. კენაშელებს ადრეულ წლებში 20 ჰექტარზე მარტო სიმინდი ეთესათ, ერთ წელს სიმინდს თესდნენ, მეორე წელს—პურს. ახლა ამ ადგილებში 6 ჰექტარი ყანა თუ იქნება, ვენახი კი საერთოდ აღარაა.

### ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲬᲠᲤᲔᲚᲘ

არ გიფიცავთ: ლასურიაშის კოლმეურნეობის ყოფილ ზოგიერთ თავმჯდომარეს ისე დაუმთავრებია „მოღვაწეობა", ჩვენთან, კენაშს, ან საერთოდ არ ამოსულა ან თუ ამოსულა—ერთხელ რაღაც გადაუდებლის გამო.

ერთი რიგითი მშრომელი კაცის აზრი თუ დაგაინტერესებთ, გეტყვით:

სტალინს შეცდომები ჰქონდაო, აღარ აყენებენ საფლავში. ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა, მაგრამ ადგილობრივი ინტრიგები და შური მეტი იყო.

ბერიას არანორმალურ კაცად ვთვლი. ამისთანა ბერიები ადგილზეც იყვნენ. ერთი ნესტორ ჩარკვიანი სახლობდა კენაშს, ძველი ნამამასახლისები თან კოლმეურნეობაში მუშაობა არ უყვარსო და გაასახლეს. მსგავსი მაგალითები ბევრი იყო. ასეთი ღმერთმა დაგვიფაროს.

დიქტატი და სისხლი ვის უყვარს, მაგრამ დისციპლინა ნამდვილად საჭიროა. ამდენი ბოროტება, მკვლელობა, ქურდობა მე პირადად არ მახსოვს.

სოფლის გაჭირვებაზე ალარაფერს ვამბობ, თუმც სოფელს რომ პური უჭირს, ნავთი, ასანთი, შაქარი და მარტო კენაში არაა გამოშლილი ყველაში, როგორც ამას გუშინ ვამბობდით, ესეც პოლიტიკაა.

4 შვილის მამაა ბატონი პიმენი სუყველა ქალაქშია. რატომო, იკითხავთ. ეს კითხვა მეც ბევრჯერ ამკვიატებია, მაგრამ ჩვენი სოფლის შემხედვარე მე ვერ ვეტყვი მაგათ გინდათ არ გინდათ დაბრუნდით სოფელში-თქვა. ერთი იმედია—ახლა ქალაქშიც ისე წავიდა საქმე, ვგონებ თვითონ მოვლენ და უფრო გულერთგულად მოუვლიან კედელ-ყურეს.

თავად კი შრომობს პიმენი, ეს მის კარმიდამოსაც ატყვია და საიჯარო ნაკვეთსაც.

დავემშვიდობეთ პიმენს, კენაშის აღმართებს შეუდგა.

მის ოჯახზე კიდევ ბევრი კარგი გვითხრეს: პიმენის მამას, ვლადიმერს 8 შვილის პატრონს, ნიკორისძირში დუქანში მუხლი რომ შეუსვენებია, ვიღაც უდედმამო მოჯამაგირე ბავშვს წაწყდომია. შეუსვამს ცხენზე, ლახეფით წამოუყვანია და მე-9 შვილად აუყვანია. 3—4 წლის მერე სწავლის სურვილი რომ გასჩენია, სპეციალურ ბავშვთა სახლში მიუყვანია, ყოველ შაბათს საგზალს უზიდავდა თურმე. მერე შვილობილი (გვარად გორდეზიანი) კარგი, განათლებული კაცი გამოსულა, სახელოვანი შვილებიც გაუზრდია. დღესაც მისი მადლიერი შთამომავლობისათვის ირემაძეების კერა ყველაზე ძვირფასია და მახლობელი.

ასეთი ოჯახები, ადამიანები სანთლით საძებნია დღეს.

**მ. ძნელაძე.**

დღეს არავის გააკვირვებს ახალი ჟურნალ-გაზეთის გამოჩენა. [illegible] ყოველდღე იბადება ახალი გამოცემები, [illegible] მიმზიდველი, ცოცხალი პუბლიკაციებითა და ტექნიკური სიფაქიზით სიმპათიას იმსახურებს, მკითხველის გულს იპყრობს. მიმაჩნია, რომ მათს შორის ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს ჟურნალი „ღიმილი".

სულ ცოტა ხნის წინ შეიქმნა საქართველოს სატირიკოს-იუმორისტთა ასოციაცია

## ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲪ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲐ

და იქვე გაჩნდა მისი ლიტერატურულ-მხატვრული ორგანოს დაარსების იდეა, რაც განხორციელდა კიდეც ქართველი მწერლების თანადგომითა და მხარდაჭერით.

მისი პირველი ნომერი ასეთი ნიშანდობლივი წარწერით იხსნება: „ღიმილი" პირველი ჟურნალია, დამოუკიდებელ საქართველოში რომ შეიქმნა. მისი მთავარი და წმინდათაწმინდა მიზანი საქართველოს სრული და საბოლოო თავისუფლებისათვის ბრძოლა გახლავთ".

ამ კეთილშობილური მიზნის მისაღწევად ჟურნალში მონაწილეობისათვის ვიწვევთ საქართველოს საუკეთესო სატირიკოს-იუმორისტებს, მწერლებს, პოეტებს, ჟურნალისტებს, კარიკატურისტ მხატვრებს, ფელეტონისტებს.

შესაძლოა, პუბლიკაციებში სატირა უფრო მეტი დოზით იქნეს წარმოდგენილი. ეს, ალბათ, ჩვენი ცხოვრების ხასიათითაა განპირობებული. დრომოჭმული სტრუქტურების მსხვრევა და ახლის დამკვიდრება უმტკივნეულოდ არ ხდება. ეგრერიგად არც მსახვრალი იმპერია გაგვიშვებს კლანჭებიდან. შეუპოვარი ბრძოლა, გამლება და მოთმინება გვმართებს.

ღრმად ვიზრუნებთ, რომ ჟურნალი ფართო მკითხველის სულიერი ინტერესების სფეროში მოექცეს და კეთილი ემოციების ორიენტირი გახდეს ჩვენს კატაკლიზმებით სავსე ყოფაში.

პირველმა ნომერმა, ალბათ, უკვე მოაღწია თქვენამდე. აწონ-დაწონეთ თქვენი სიბრძნისა და მაღალი გონიერების სასწორზე. თქვენი ობიექტური, მიუკერძოებელი და კეთილი დამოკიდებულებით განსჯის იმედი გვაქვს.

თხოვნაც უნდა შემოგბედოთ: გაგვიზიარეთ თქვენი აზრი, ჭკვიანური რჩევაც წაგვადგება. მოგვწერეთ. გაგვახარეთ.

ჟურნალ „ღიმილის" ხელმოწერა მიიღება ყველ სათოსტო განყოფილებაში.

ღრმა პატივისცემით:

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**

„ღიმილის" პასუხისმგებელი მდივანი.

# 870 წლის წინათ (1121) დიდგორის ველზე ქართველთა ლაშქარმა დავით აღმაშენებლის სარდლობით სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი

## „ბრძენთა ენა ვერ შემძლებელ არს მოთხრობად ზედმიწევნით ყოველსავე"

დავითის ისტორიკოსი.

რას გვამცნობს ისტორია: —

„1121 წლის 12 აგვისტოს თურქები მანგლისს მოადგნენ. განზრახული ჰქონდათ გადაელახათ თრიალეთის ქედი და დავით მეფე მოეწყვიტათ დასავლეთ საქართველოში მდებარე მისი ძირითადი ბაზებისაგან. იმდროინდელი უცხო მწერლების სიტყვით, მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქარი 400-600 ათასი კაცისაგან შედგებოდა. ქართველთა ჯარი რიცხობრივად რამდენჯერმე ნაკლები იყო თურქებისაზე.

დაყოვნება აღარ ივარგებდა. დავით მეფემ გადაწყვიტა დაესწრო მტრისთვის, შეეტია მისთვის მთიან-ტყიან ადგილებში, სადაც მისი ანგარიშით, თურქ-სელჩუკთა ცხენოსანი ლაშქრის სიმრავლეს უნდა დაებრკოლებია მოწინააღმდეგის მოძრაობა და შეემცირებინა ბრძოლის უნარიანობა".

მოზღვავებული მტერი საქართველოსათვის უცხო არასოდეს ყოფილა, მაგრამ თურქთა ასეთი ამხედრება მაინც საზარელი იყო ერთი მუჭა საქართველოსათვის, ცეცხლისმფრქვეველ ცხენებზე ამხედრებული ველური ტომი ჩვენს წასალეკად მოქროდა.

„ილღაზმა ბრძანა შეკრებილიყო თავისი ჯარების სიმრავლე, ყოველი ტომი თურქმენთა, ბერძენთა ქვეყნიდან ვიდრე აღმოსავლეთისაკენ ყოველი კარმიანი და ქმნა რიცხვი თავისი ჯარისა ასორმოცდაათი ათასი... მოვიდა სულთანი მელიქი ოთხასი ათასი მხედრით, გულადი კაცებით. ისინი დაიძრნენ საშინელი სიმრავლით და შევიდნენ ქართველთა ქვეყანაში ქალაქ თბილისის მხარეს, მასში, რომელსაც ჰქვია დეკორ (დიდგორი).

დავით მოვიდა თურქთა ჯარების წინააღმდეგ ორმოცი ათასი ძლიერი და გულადი კაცით და გამოცდილი მეომრით. მას ჰყავდა სხვა ჯარებიც ყივჩაღთა მეფისაგან, თხუთმეტი ათასი გულადი და რჩეული, ხოლო ალანთა ტომისაგან ხუთასი კაცი და ფრანგი ასი"...

მათე ურჰაელი.

(სომეხი ისტორიკოსი 12-ს. 1 ნახევარი)

1121 წლის 15 აგვისტო.

ერთმანეთის პირისპირ იდგა უზარმაზარი თურქთა ლაშქარი და ქართველთა მცირე ჯარი, არც აქ უღალატია ავბედით ბედისწერას ქართველთა ჯიშისათვის, სიკვდილის აჩრდილივით დაფარა დიდგორის მიდამოები თურქთა უზარმაზარმა ლაშქარმა, საბედისწეროდ გუგუნებდნენ ტაძრებზე ზარები:

სიკვდილი თუ გამარჯვება?

სიკვდილი თუ გამარჯვება?

სიკვდილი თუ გამარჯვება?

და სასწაული:

„ძლევა საკვირველი", როგორც ყოველთვის მამულიშვილთა ერისათვის, ხალხისათვის თავგანწირვამ გადაარჩინა საქართველო.

200 ქართველი, 200 სიცოცხლე, 200 გული მივიდა პირველი ამ საშინელ სასაკლაოზე. „იმ დღეს იქნა სასტიკი და საშინელი ამოწყვიტა თურქთა [illegible] აღივსნენ გვამებით მდინარენი და მთათა ხევები და ყველანი ძმათა ქარავნი დაიფარნენ..

იქმნა რიცხვი თურქთა ამოწყვეტილი ჯარისა ორმოცი ბევრი (400000), ხოლო შეიპყრეს ოცდაათი ათასი კაცი...

ცხენებისა და დაყრილ იარაღსაჭურველისაგან დაიფარა ყოველნი პირნი ველთანი".

(მათე ურჰაელი).

დიდგორი კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იყო მტერზე — სხვა გამარჯვებებზე აღმატებული თავგანწირვით და ვაჟკაცობით. იქნებ დიდგორში გამარჯვებით დაედო სათავე ქართველთა გამარჯვებას ბევრ სხვა „დიდგორში", ხოლო მზე საქართველოსი — დავით აღმაშენებელი იყო პირველი დიდგორის გამარჯვების შემოქმედი.

დავითი იყო პირველი...

მრავალნი იყვნენ შემდგომ მისა გმირნი..

წინ კი კიდევ ბევრი დიდგორია, ქართველებო!

მადონა მახარობლიძე.

---

## შემოსული სიგნალის კვალდაკვალ

# აუცილებლად მოსაგვარებელია

ლაცორიის ტერიტორიაზე მდებარე ლაჯანის კოლმეურნეობის წისქვილის წყალგამტარი არხი ამოვსებულია მდინარე ლაჯანურის მიერ ჩამოტანილი ნაშალი მასალებითა და ათასგვარი სიბინძურით. ოდნავი გაავდარების შემთხვევაში იქმნება არხიდან გადმოსული წყლით მოსახლეობის წალეკვის საშიშროება, ამასთან გამეფებულია ანტისანიტარია.

აღნიშნული საკითხი წინა წლებში რამდენჯერმე დავაყენეთ ადგილობრივ და რაიონის ხელმძღვანელების წინაშე. იძულებული გავხდით საქართველოს ტელევიზიაც მოგვეწვია. მათ გადაიღეს ჩვენს გასაჭირზე და ეკრანზეც აჩვენეს. საკითხი განხილულ იქნა მრავალ თათბირზე, სოფლის ყრილობაზეც. დაისახა ღონისძიებები, მაგრამ პარტოკრატიამ საქმის მოგვარების მაგიერ მას ყოველთვის და ყველა ინსტანციაში ხელი შეუშალა.

იძულებული გავხდით პიკეტირება მოგვეწყო, წისქვილის მუშაობა შეგვეჩერებინა. პარტოკრატებმა ჯერ წაუყრუეს, აცადეს სიტუაციის დაძაბვა, შემდეგ ადგილზე გამოცხადდა მათი წარმომადგენელი და განკარგულება გასცა ბულდოზერით ლაჯანურისათვის (ე. ი. მოსახლეობისაკენ) გადმოეკვალათ, ჩვენ კი გაგვიცხადა ხვალვე შევუდგებით ჯებირის მშენებლობასო. მას შემდეგ რამდენიმე ასეულობით „ხვალემ" ჩაიარა, მაგრამ...

მდინარემ რამდენჯერ „გაგვაფრთხილა", ადიდებისას წაგვილეკა ეზოები, დაგვინგრია შენობანაგებობანი. დარში კი სიბინძურისაგან სული გვეხუთება, გვეწამლება ცხოველები და ფრინველები.

რამდენიმე წელია მიმდინარეობს ლაჯანურის ნაპირსამაგრი სამუშაოები, მაგრამ ჭალისუბნის მოსახლეობის სასარგებლოდ არაფერი არ კეთდება. ხალხში საკმაოდ საფუძვლიანი მითქმა-მოთქმაა, დეფიციტური მასალები და ათეული ათასობით მანეთი ფული „იხარჯება" მდინარე ლაჯანურისაგან ჩვენს დასაცავად, მოდის ათეულ ტონობით საწვავ-საცხები, საჯებირე მავთული და სხვა მასალები, მაგრამ ფაქტიურად ჩვენს სასარგებლოდ არაფერი არ კეთდება. ამ ბოლო დროს 12 ტონა საჯებირე მავთული ისე „აორთქლდა", რომ ერთი ჯებირის კვალიც არ დაუტოვებია. გამოყოფილი მასალებისა და დახარჯული თანხის სისწორე უნდა შემოწმდეს... ამ ეტაპზე კი მოვითხოვთ, სასწრაფოდ გაკეთდეს ზემოაღნიშნული წისქვილის სათავე ერთი (ღვარცოფშემაკავებელი) ჯებირით, ამოიწმინდოს და კეთილმოეწყოს წისქვილის არხი.

ნ. გოდერიძე,

სოფ. ორბელი.

**რედაქციისაგან:**

ადგილზე მოწყობილი შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ავტორის მოთხოვნა სწორია. წისქვილის არხი მდინარე ლაჯანურის მიერ მოტანილი ქვალორღით ამოვსებულია და წყლის ოდნავ ადიდების დროს არხის ორივე სანაპიროდან წყალი გადადის და ზიანს აყენებს მოსახლეობას. აუცილებელია არხის ამოწმენდა, კეთილმოწყობა, არხის სათავეში ღვარცოფშემაკავებელი ჯებირის გაკეთება, ამ საქმის მოგვარებისათვის უნდა იზრუნოს ორბელის სოფლის საკრებულომ, წყალტუბოს მელიორაციისა და წყლის მეურნეობის ცაგერის უბანმა.

რაც შეეხება საჯებირე 12 ტონა მავთულის „აორთქლებას", როგორც ამას ავტორი აღნიშნავს, არ დასტურდება რადგან წყალტუბოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ცაგერის უბნის უფროსმა ალექსანდრე ბრეგვაძემ გვიჩვენა ორბელის ტერიტორიაზე ლაჯანურის ნაპირას ორი და ლეშკედის ღელეში გაკეთებული ერთი მავთულბადის ჯებირები, რომლებზედაც დაიხარჯა 10 ტონა მავთული, 2 ტონა ინახება ადგილზე, წისქვილის სათავეში ჯებირის გასაკეთებლად.

---

ადამიანები

# წლები სულიერ სამსახურში

ვინც საბიბლიოთეკო საქმეს იცნობს, კარგად იცის, რამდენი გარჯა, რამდენი დრო არის საჭირო, რომ ყველაფერი აღწერო, წესრიგში მოიყვანო, მკითხველებს მოემსახურო. გვესოს სასოფლო ბიბლიოთეკა — ფილიალის გამგემ ლოლა ჩახულიანმა მშრომელთა სამსახურში 38 წელი გაატარა. ეს არის პასუხსაგები სამსახური.

ბიბლიოთეკაში მუშაობას დიდი მეცნიერული ნიჭი არ სჭირდება, მაგრამ ყველა მაინც ვერ იქნება კარგი ბიბლიოთეკარი, რადგან ამისათვის განსაკუთრებული გულისყური და სიყვარულია საჭირო, და თავისი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე მას ეს სიყვარული არასოდეს დაუკლია საბიბლიოთეკო საქმისათვის, სოფლის მშრომელთა სულიერი სამსახურისათვის.

მშრომელი ოჯახის დედაბოძი, სამი შვილის დედა, სახელოვან მეაბრეშუმეთა რიგებსაც ამშვენებს — დღეს ქვეყანას ყველას თავდადებული შრომა თუ გადარჩენსო, და წელსაც 10 გრამი ჭია მოსავლელად პირველმა გაიყვანა. მთელი ოჯახი ჩააბა საქმეში, მეუღლე, რძალი, ვაჟიშვილიც, ღამეებს ათენებდა. იმდენი ჯაფა გასწია, რომ მადლობის მეტი აბა ვის რა ეთქმის. იმ დროს მოვხვდით მიმღებ პუნქტში, ხვავი რომ დააყენა — 53 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიტანა. ანაზღაურებამ დაგვაინტერესა, უანგარიშეს და 1623 მანეთი ერგო 25 დღეღამის შრომის საფასურად.

წლები მიდის, მშრომელთა სულიერი მომსახურების იმ კერაში, სადაც ლოლა ჩახულიანი მუშაობს, ახალ-ახალი თაობები მიუჯდებიან მაგიდას, გადასინჯავენ კატალოგებს, წაიღებენ სასურველ წიგნებს და მადლობით აღივსებიან ადამიანისადმი, რომლის მზრუნველი ხელი ამჩნევია ამ წიგნებს.

გ. ბაქრაძე

---

# დღე პირველი და ...

აუჰ, უკვე რამდენი დრო გასულა, თითქმის ნახევარი საუკუნე, არადა ის პირველი დღე ახლაც გუშინდელივით ახსოვს, როგორ გადასცეს გაზეთების და წერილების პირველი დასტა ამ 44 წლის წინათ გოცია კუხალაშვილს და მას შემდეგ ყოველდღე დაატარებდა სხვისთვის განკუთვნილ პენსიას და დეპეშებს, გაზეთებს და წერილებს უზარმაზარ მანძილზე: ზედა და შუა ალვში, კენაშში. დადიოდა შაოსანი ქალი ამხელა გზაზე და თან დაატარებდა უზარმაზარ დარდსა და ვარამს, რომელიც შეიძლება ბევრმა არც იცოდა. მეუღლე ომში დაეღუპა და დარჩნენ შვილები დედის ამარა. ბევრი უბედურება გადაიტანა ცხოვრებაში. ახლა თითქოს ყველაფერი უკან დარჩა. ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის და ადამიანისაგან დამოუკიდებლად აწონასწორებს ყველაფერს.

გოცია კუხალაშვილი ახლა 84 წლისაა.

— საქმეს არ წავახდენ, მომჩივანი არ მყავს, რაც შემიძლია ვაკეთებ — ამბობს და თან გვლოცავს.

— ხელფასი?

— ახლა 140 მანეთი გამიხდა, მანამ 90 მქონდა, არ ვარ უკმაყოფილო.

— კი მაგრამ უკვე საკმაო ასაკი გაქვთ, ამხელა გზებზე სიარული და მუშაობა გიჭირთ, მაინც არ ანებებთ თავს მუშაობას?

— ჯერ კიდევ შემიძლია, თუ ვინმე უკეთესი გამოჩნდება და ჩემს საქმეს ითავებს, მაშინვე დავტოვებ ყველაფერს.

* * *

ახლა, შუადღის პაპანაქებაში კენაშის გზას უნდა გაუდგეს, იქაურებს კუთვნილი პენსია უნდა დაურიგოს. სადა აქვს, ამდენი შეძლება საუკუნეს მიღწეულ ქალს?!

## გილოცავთ!

**ციური გრიშას ასულ მურცხვალაძე-უგრეხელიძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად.

**გივი, ახმათ, ირაკლი, როსტომ უგრეხელიძეები.**

**მარინე დავითულიანს**
**ფიქრია მეშველიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყოველივე კარგს და სიკეთეს ცხოვრებაში.

**ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და საბავშვო ბაღის თანამშრომლები.**

**ციური გრიშას ასულ მურცხვალაძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თქვენი საყვარელი ოჯახით.

**ფიქრია, მარინა შკუბულიანები.**

# მკვლელები დაკავებული არიან

1991 წლის 2 აგვისტოს საღამოს 22 საათზე სოფელ ლაჯანის ტერიტორიაზე, საუბნო საავადმყოფოს შესასვლელთან, ნაპოვნი იქნა უცნობი მოქალაქის გვამი. დათვალიერებით დადგინდა, რომ მოკლულს მიყენებული ჰქონდა ჭრილობა ცეცხლმსროლელი იარაღიდან.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი. გატარებული ღონისძიებების შედეგად შეტყობინებიდან 3 საათის შემდეგ კურორტ „ლაშიჭალის" ტერიტორიაზე დაკავებული იქნა ავტომანქანა უაზ—469, რომლიდანაც გადმოგდებული იქნა გვამი. დაკავებული იქნენ წყალტუბოს რაიონის სოფელ დერჩში მცხოვრები ბიძინა ბორისის ძე წერეთელი და მცხოვრებ ქალაქ ქუთაისში გივი ალეკოს ძე მახარობლიძე, ორთავე ნასამართლობის მქონე.

მეორე დღეს, 3 აგვისტოს, გატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად ამავე ტერიტორიაზე ტყეში დაკავებული იქნა დანაშაულში ეჭვმიტანილი ზურაბ ალექსანდრეს ძე კვაჭანტირაძე, რევაზ ფუხუს ძე ცანავა, რამაზ ვახტანგის ძე დიაკონიძე—ქალაქ ქუთაისში მცხოვრებლები. სამივე ნასამართლობის მქონე. დაკავების დროს მათგან ამოღებულ იქნა ორლულიანი ხრახნიანი თოფი 28 კალიბრის 6 საბრძოლო ვაზნით და სანადირო დანა, ხოლო გ. ა. მახარობლიძის ბინიდან ამოღებულ იქნა რევოლვერი თავისი საბრძოლო ვაზნებით.

მომხდარი დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნაში და დამნაშავე პირების დაკავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილების უფროსმა ვ. კუჭავამ, მილიციის უფროსის მოადგილემ ტ. ზვიადაძემ, სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებულებმა ბ. კოპალიანმა და ვ. ხაბულიანმა, რ. ომანაძემ, რაიგანყოფილების გამომძიებელმა ლ. ბერიძემ, დაცვის ქვეგანყოფილების უფროსმა. ინსპექტორმა ჯ. ახვლედიანმა, დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსმა რ. მახარობლიძემ.

დამნაშავეთა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

**მკითხველთა საყურადღებოდ**

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკაში ქაღალდით უზრუნველყოფის საქმეში უაღრესად საგანგებო მდგომარეობა შეიქმნა, ჩვენი გაზეთი დროებით გამოვა კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

**რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის" რედაქცია.**

9 აგვისტოს, პარასკევს, ქუთაისი-ცაგერის ავტობუსში (მძღოლი ნუკრი სალინაძე) მგზავრს შეცდომით წაუღია ჩემი ცელოფანის ჩანთა.

ვთხოვ დამიბრუნოს. შეცვლილი ჩანთა ინახება მძღოლთან.

**მთვარისა ხმელიძე,**

**ცაგერი. ქალთა სალონი.**

მეუღლე მარინე ხვედელიძე, შვილი ნინო, დედა ცირა, მამა ვალიკო, და ნინო, სიძე გოგი მუშკუდიანი, დისშვილები გიორგი, ვალერი, მამიდები ფაფალა, ქუქუნა, ბიძები რეზო, ვაჟა ჭაბუკიანები, ბიცოლები ლენა, თამარი, ძაძუ, სიმამრი ბონდო, სიდედრი ეთერი, ქვისლი თამაზ ჩიქოვანი, ბებიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ცოლისდები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

დაკრძალვა 17 აგვისტოს, შაბათს ქ. ცაგერში.

სოსო დავითულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ვალიკო მურცხვალაძის ოჯახს შვილის

**რამაზ მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქუქუნა, რუბენ, მარინა დავითულიანებს

**იური გივის ძე კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

ანზორ ჭაბუკიანი ოჯახით თანაუგრძნობს ავთო და ცირა თაგვაძეებს დისა და მულის

**მზია მიხეილის ასული თაგვაძე-ქვიჩაკიძის**

გარდაცვალებას.

მეუღლე მარო, შვილები გელა, გენური, ციცინო, რძლები დალი, ონიკო, იზო ფხალაძე, სიძე ვახტანგ ყურაშვილი, შვილიშვილები დათო, ხათუნა, გიორგი, გოჩა, მარიკა, ნანა, ნინო, ძმები მიშა, ანზორი, დები თინა, ეთერი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯოკია გალაქტიონის ძე გოლეთიანი**

დაკრძალვა 17 აგვისტოს, შაბათს, სოფელ ნაკურალეშში.

უახლოესი მეზობლები ქორა, ლეო, ამირან კვირკაშვილები, ბიძინა, ექვთიმე, გიზო გუგავები, გივი ბურჯალიანი, ბიქტორ ქარსელაძე, მურადი სილაგაძე, კარლო, უჩა მეშველიანები თანაუგრძნობენ ფაფალა, რუბენ, ლალი და გენადი კვირკაშვილებს

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიაგრომშენის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ავთანდილ თაგვაძეს დის

**მზია მიხეილის ასულ თაგვაძე-ქვიჩაკიძის**

გარდაცვალების გამო.

რუბენ დავითულიანი, ოთარ და მიშა კოპალიანები, ზურაბ კეთილაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იური გივის ძე კოპალიანი.**

მიშა, ოლია, ლენა, თინა კვირკაშვილები, გივი სალარაძე, თემურ მიქიაშვილი, კარლო მუშკუდიანი, გენადი სილაგაძე, ბადრი თოდიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

ოთარ მუშკუდიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მიშა ბერიძე, ამირან, ჯიბილო ასათიანები, ლალიკო მინდაძე, ჯემალ კოპალიანი, ბუდუ ომანაძე, სამსონ ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

ვალტერ მურცხვალაძე, კოტე ბობოხიძე, თემურ ჩორგოლიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ მურცხვალაძე.**

ჯაბუ, რეზო ტვილდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

ცაგერის საშუალო სკოლის 1975 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

გაბრიელ სოხაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

მამიდები ფაფალა, ქუქუნა, ბიძა რუბენ კვირკაშვილი, მამიდაშვილები ცარო, ცისანა, ნანი, ზაური, ვალერი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

სოზარ კვირკაშვილი, ჯემალ, მურთაზ კოპალიანები, გურამ ნემსაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რამაზ ოთარის ძე სალინაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

ჯონი მეგრელი, ჟპოლონ მუშკუდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ მურცხვალაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სერგო ჩაჩხიანი, ლამარა, დათო კაჭკაჭაშვილები, ვიტალი მუშკუდიანი, რამინ გულბანი, აკაკი, ანზორ ნემსაძეები, ნოდარ კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ცირა, ვალიკო მურცხვალაძეებს შვილის

**რამაზ მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

პიმენ მურცხვალაძე, ალიოშა ბრეგვაძე, ამირან მოწონელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

ჯუმბერ ბენდელიანი, კარლო სალინაძე ოჯახებით იუწყებიან

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძის**

გარდაცვალებას.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ნინო და გოგი მუშკუდიანებს ძმისა და ცოლისძმის

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

ქეთინო ჩხატარაშვილი, იზა კოპალიანი, რუსუდან ხაბულიანი ნაზი ჩაკვეტაძე, თინა ბობოხიძე, ლედი გოგიძე, იამზე კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნინო და გოგი მუშკუდიანებს ძმისა და ცოლისძმის

**რამაზ მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

ბიცოლა ლენა მურცხვალაძე, ელგუჯა, მადონა, ირაკლი ლილუაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

რაიცენტრალური აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე ხვედელიძეს მეუღლის

**რამაზ მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

შვილები ქუქუნა, ნორა, ნიურა, სიძეები პარიმონ გურული, აკაკი ჭოხონელიძე, შვილიშვილები მამუკა, ფოთოლა გურულები, ბადრი, ნესტან ჭოხონელიძეები, რიტა, ბექან, ირმა ფრუიძეები, მაზლი გივი, მული მესიკო, რძალი ნუცა ყურაშვილები, შვილთაშვილები, მაზლიშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუბა თომას ასული გოლეთიანი-ყურაშვილი**

დაკრძალვა შაბათს, 17, აგვისტოს, სოფელ უსახელოში.

რაისანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინო მურცხვალაძეს და გოგი მუშკუდიანს ძმისა და ცოლისძმის

**რამაზ მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

ვეტლაბორატორიისა და თესლის ლაბორატორიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცირა და ვალიკო მურცხვალაძეებს შვილის

**რამაზ მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

მიშა, რეზო, გივი მურცხვალაძეები, ალუდა ზურაბიანი, გია კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ცირა და ვალიკო მურცხვალაძეებს შვილის

**რამაზ მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

მიშა ივანეს ძე და კუკური გერონტის ძე კვირკაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

ალიკო ახვლედიანი, შარდენ გუგავა, მერაბ სილაგაძე, ნაზიკო მუშკუდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ცირა, ვალიკო მურცხვალაძეებს შვილის

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

რეზო, ვაჟა ჭაბუკიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

ვაჟა შენგელია, მურთაზ თაგვაძე, გენადი კვირკაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.**

„ლეჩხუმი" გამოდის
• სამშაბათს
• ხუთშაბათს
• შაბათს

ჩვენი მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის—22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სასოფლო მეურნეობის განყოფილების —22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობო საამქროს —22-23

შეკვეთა №92 ტირაჟი—454

რედაქტორი
ნ. ნემსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.